თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 17

„30“ მარტი 2016 წელი

## „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას და პრივატიზაციის გეგმას დაემატოს დანართ №1-ში და დანართ №2-ში მითითებული ქონება;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №1*

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.04.44.066, 61503 კვ.მ).

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.06.34.428, 454 კვ.მ).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაატა გიორგობიანი

*დანართი №2*

## თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების პრივატიზაციის გეგმა

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უპირობო აუქციონი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოხდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 23 700 ლარი, ბილეთის ფასი 30 ლარი (ს/კოდი №53.04.44.066, 61503 კვ.მ).

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უპირობო აუქციონი, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მოხდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 270 ლარი, ბილეთის ფასი 30 ლარი (ს/კოდი №53.06.34.428, 454 კვ.მ).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი